


ტყიბულის
მუნიციპალიტეტის
ტურისტულ-
რეკრეაციული
რესურსები



დimitრი ჯაფარიძე
გეოსაინფორმაციო და ტურიზმის
ტექნოლოგიების ცენტრი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

315000

320000

325000

330000

335000

340000

345000

GTTC, ILAUNI


GEOLAND

ივერეთი

წყალუმბოს მუნიციპალიტეტი

რამს-ლენხუმი
სამრთლეთის მუნიციპალიტეტი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია რესურსები



4685000

4690000

4695000

4700000

4705000

4685000

4690000

4695000

4700000

4705000

სარჩევი

რეზიუმე.....	4
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოკლე აღწერა	4
ძირითადი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები და გამოცდილებები	5
ისტორიული ძეგლები.....	6
გელათის სამონასტრო კომპლექსი.....	6
მოწამეთას მონასტერი	6
სხვა ისტორიული ძეგლები	7
ცხრაჯვარი.....	7
არქეოლოგიური ძეგლები.....	8
დაცული ტერიტორიები.....	8
მუხურას ჩანჩქერის ბუნების ძეგლი	8
ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი	9
წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი	10
ძმუისი კანიონინგის ცენტრი.....	10
საწირე.....	11
ტყიბულის წყალსაცავი.....	11
დასკვნა	12
რეკომენდაციები.....	12
ტურისტული აქტივობები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია ადგილზე... 13	
ცხრაჯვარი.....	13
მყარი ინფრასტრუქტურის მოწყობა	13
ტურისტულ-რეკრეაციული აქტივობები.....	13
დასასვენებელი სახლი.....	13
კლდეზე ცოცვა	14
პარაპლანითა და დელტაპლანით ფრენა.....	14
ექსტრემალური საფეხმავლო ტურიზმი.....	15
ცუცხვათის მღვიმოვანი კომპლექსი	15
აგროტურიზმი - საოჯახო სასტუმროები.....	15
სპელეოტურიზმი.....	16
ველოტურიზმი.....	16
საცხენოსნო ტურიზმი.....	17
ისტორიული ადგილები - ხრესილი.....	17
საფეხმავლო მარშრუტები და ლაშქრობები.....	18
ცხრაჯვარი	18
ცუცხვათი.....	19
ტყიბული	19

მშუისი	20
მშუსის კანიონინგის ცენტრი.....	21
სპორტული თევზაობა	21
ღვინის ტური - გურნის მარანი	21
მინერალური წყლები.....	22
კინოგადაღების ტურიზმი	22
საწირე - ახალი ტურისტული ადგილი.....	23
ტყიბული-საწირეს სპორტული კლასტერი.....	24
ტყიბულის წყალსაცავი - ახალსოფლისა და საწირის რეკრეაციული ზონები.....	25
სატრეინინგო ცენტრის ფუნქციონირება	27
შემდგომი მოქმედებების გეგმა	28

რეზიუმე

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მცდელობას იდენტიფიცირებული იქნას ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული რესურსების პოტენციალი.

დოკუმენტის მომზადების შემდგომი ეტაპი გულისხმობს აღნიშნული რესურსების მოქმედებაში მოყვანის შესაძლებლობების შესწავლას და საპროექტო წინადადებების ჩამოყალიბებას. შედეგად, შემუშავებული იქნება პერსპექტიული ტურისტული საინვესტიციო პროექტების ჩამონათვალი და განისაზღვრება საჭირო კაპიტალური ინვესტიციების ბიუჯეტი. პროექტები დეტალურად წარმოგვიდგენს მათი განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკურ ღონისძიებებს. აგრეთვე, თუ რა მოცულობისა და სახის აქტივებია საჭირო მუნიციპალიტეტში ტურისტული პოტენციალის განვითარებისათვის და რა სახის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტებია მოსალოდნელი ამ პროექტების რეალიზაციის შედეგად.

აღნიშნულით საფუძველი ჩაეყრება ტყიბულის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური აქტივობის საგრძნობ დინამიკას, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ ჩართულობას, მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებას და კეთილდღეობის ამაღლებას.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოკლე აღწერა

ტყიბულის რაიონი, რომელიც ისტორიულ ოკრიბას მოიცავს, მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ - ქვემო იმერეთში, ზღვის დონიდან 600-800 მეტრ სიმაღლეზე. იგი გაშენებულია მდინარე ტყიბულას (მდ. მყვირილას მარჯვენა შენაკადი) ორივე ნაპირზე, რომელიც შემოფარგლულია ტყით დაფარული მთაგორიანი ტერიტორიით. საზღვრების საერთო სიგრძე 120 კმ-ს შეადგენს, მთლიანი ფართობი კი 470 კმ²-ს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 9 სასოფლო თემსა და 45 სოფელს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში შემავალი ტერიტორიულ ერთეულებია - ქ. ტყიბული, 7 თემი: გურნა, კურსები ორპირი, საწირე, სოჩხეთი, ხრესილი, ჯვარისა და სოფლები მუხურა და ცუცხვათი. სოფლების როდენობა შეადგენს 45-ს. ქალაქის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 14000-ს, ხოლო სოფლების მოსახლეობა 17 000-ს.



ისევე როგორც მთლიანად იმერეთის რეგიონმა, ტყიბულის მუნიციპალიტეტმაც საბჭოთა ეპოქაში განიცადა სწრაფი ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე წარმოქმნილი ზემოქმედებები. აღნიშნულმა განაპირობა მნიშვნელოვანი ზეგავლენა სოციალურ, დემოგრაფიულ და ბუნებრივ გარემოს პირობებზე. ამგვარი ნეგატიური ფაქტორები დღესაც აქტუალურია და შესაბამისად, დღის წესრიგში აყენებს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის საჭიროებას ახალი, პოზიტიური სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მქონე აქტივობების ინიცირების გზით.

ეკონომიკური დივერსიფიკაციის ერთერთი პერსპექტივაა ტყიბულის მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. ტურიზმის განვითარება გახდება ადგილობრივი ეკონომიკის ინკლუზიური ზრდისა და დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების წინაპირობა, რასაც შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება მოჰყვება.

ძირითადი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები და გამოცდილებები

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტები და ის პოტენციალი, რაც სათანადო რეალიზაციის შემთხვევაში ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ტურისტული აქტივობების განვითარებას, არამედ ეკონომიკურ ზრდას და სოციალური სიკეთეების წარმოქმნას.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რესურსების ანალიზი საჭიროა იმისათვის, რათა სრული წარმოდგენა შეიქმნას არსებული პოტენციალის თაობაზე. კერძოდ, რა რესურსია მოყვანილი დღეისათვის მოქმედებაში და აგრეთვე რა შესაძლებლობებია, რომლებიც საშუალო ან გრძელვადიან პერიოდში შეიძლება იქცეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ფარგლებში წარმატებული ტურისტული აქტივობების მაპროვოცირებელ ფაქტორებად.

ამგვარი შეფასების შედეგად იდენტიფიცირებულია შემდეგი რესურსები:

ისტორიული ძეგლები

გელათის სამონასტრო კომპლექსი



ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლებიდან უმნიშვნელოვანესია გელათი სამონასტრო კომპლექსი, რომელიც შედგება 1106 წელს ქართველთა მეფის, დავით აღმაშენებლის მიერ აშენებული ღვთისმშობლის ეკლესიისაგან და მე-13 საუკუნით დათარიღებული წმინდა გიორგის და წმინდა ნიკოლოზის ეკლესიებისგან.

დიდი ხნის განმავლობაში გელათის მონასტერი წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრს საქართველოში. გელათის მონასტერში შემონახულია დიდი რაოდენობით ფრესკები და ხელნაწერები, რომლებიც თარიღდებიან 12-17-ე საუკუნეებით. გელათში დაკრძალულია უდიდესი ქართველთა მეფე, დავით აღმაშენებელი. 1994 წელს გელათის მონასტერი UNESCO-მ მსოფლიოს მემკვიდრეობის ძეგლად ცნო.

მოწამეთას მონასტერი



მონასტერი მრავალ ტურისტს იზიდავს. ლეგენდის მიხედვით ამ ადგილას ქართველი უფლისწულები დავით და კონსტანტინე მხეიძეები აწამეს და სიკვდილით დასაჯეს ისლამის


მიღების უარყოფის გამო. მონასტერი რეკონსტრუირებულია, ასევე მოწყობილია ავტოსადგომი, მოწესრიგებულია მისასვლელი გზა, საიდენტიფიკაციო საგზაო ნიშნები, ა.შ.

სხვა ისტორიული ძეგლები

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში მდებარეობს მრავალი სხვა ისტორიული ძეგლი, თუმცა მიმდინარე ეტაპზე ისინი ტურისტული თვალსაზრისით გამოსაყენებელი რესურსების კატეგორიას არ განეკუთვნება:

- ცუცხვათის, საწირისა და ჯვარისას ციხეები
- მუხურაში - “ელდათის“ ეკლესია
- ჯონიაში - X საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და შუა საუკუნეების ციხე
- ძმუისში - X საუკუნის მთასაყდარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია
- კურსებსი - X – XI საუკუნეების ზენოზის მაცხოვრის სახელობის ეკლესია და შუა საუკუნეების სამი კოშკი
- ძიროვანში - X – XI საუკუნეების მთავარანგელოზის კარის ეკლესია და გვიანი შუასაუკუნეების კოშკი
- აბუეთში - XII საუკუნის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია

ცხრაჯვარი



ცხრაჯვარი მდებარეობს რაჭის მასივი ნაქერალას ქედის სამხრეთ ფერდობზე, ტყიბულიდან 12.5 კმ-ის, ხოლო ტყიბული-ამბროლაურის გზის 8-ე კილომეტრიდან 4.5 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 1569 მეტრზე. მისი რელიეფი გორაკ-ბორცვიანია. ზამთარი ცივი, თოვლიანია, -4.8° იანვრის საშუალო ტემპერატურა. ზაფხული ზომიერად თბილია აგვისტოს საშუალო ტემპერატურით 18.5° . ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1400 მმ-ია, ხოლო მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 1700-1800 სთ-ია.

XX ს-ის 80-იან წლებში აქ ფუნქციონირებდა საკავშირო მნიშვნელობის პანსიონატი, რომელსაც ტყიბულთან ბაგირგზით იყო დაკავშირებული. ცხრაჯვარის კლიმატი და აქვე მდებარე მღვიმის ჰავა სასარგებლოა და გამოიყენება არაერთი დაავადების სამკურნალოდ და სარეაბილიტაციოდ. მის ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორებს განეკუთვნება საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და კარსტული გამოქვაბულები. ხოლო სამკურნალო ჩვენებებია: გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები, ნერვული სისტემის ფუნქციური დარღვევები, რკინადეფიციტური ანემია.

დღეისათვის ცხრაჯვარზე ინფრასტრუქტურა აღარ არსებობს. ცხრაჯვარის ტურისტულ ობიექტების პოტენციალს წარმოადგენს 1-ლი, 2-ე და 3-ე მღვიმეები, რაჭის და მურადის მღვიმეები, ცხრაჯვარის სალოცავი, კოლხეთის დაბლობის ხედი - პანორამა, ა.შ.

არქეოლოგიური ძეგლები

ცუცხვათის მღვიმეში ნაპოვნია არქეოლოგიური ძეგლები შუა პალეოლითიდან ბრინჯაოს ხანამდე, აგრეთვე ცხოველთა ორმოცამდე სახეობის ძვლები. არქეოლოგიური კვლევების თანახმად ეს მხარე, ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დასასრულს იყო სამთამადნო წარმოების კერა.


განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს:

- ბრინჯაოს მღვიმე (V სართული), რომლის ნაფენთა საერთო სიმაღლე 12-13 მეტრს აღწევს; მათში აღბეჭდილია უკანასკნელი 140 000 წლის განმავლობაში მომხდარი კლიმატური ცვლილებები;
- ზედა მღვიმე (XI სართული), სადაც აღმოჩენილი იქნა პირველყოფილი საკულტო საგნები: საგანგებოდ დალაგებული მღვიმური დათვის თავის ქალები, ბარძაყის ძვლები და კბილები, მსხვერპლად შეწირული სხვა ცხოველთა ძვლები;
- ქარაფში გახსნილი სამი მღვიმე (მოაჯირიანი, ღამურებისა და დათვის - VII-IX სართულები), რომლებიც ატარებენ ფეოდალიზმის ხანაში სიმაგრეებად გამოყენების ნიშნებს - შენახულია ქვითკირის კედლები, გამოჭრილი საფეხურები, ქვევრების ნატეხები.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სხვა არქეოლოგიური ძეგლებია ქვის ხანის იაზონის მღვიმე და საბელასერის შუა ქვის ხანის სადგომ-სახელოსნო.

დაცული ტერიტორიები

მუხურას ჩანჩქერის ბუნების ძეგლი



ჩანჩქერი მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუხურას მიდამოებში, ტყიბული-მუხურას საავტომობილო გზის სიახლოვეს, 886 მეტრზე ზღვის დონიდან. ბუნების ძეგლი მდებარეობს ტყიბულიდან 8.5 კმ-ში.

60-70 მ სიმაღლის სამსაფეხურიანი ჩანჩქერი გადმოედინება აღმოსავლეთ ექსპოზიციის ფერდობზე მდებარე მღვიმიდან. მღვიმეში ერთი პატარა და ერთი დიდი ტბაა. ჩანჩქერის ნაპირები დაფარულია შერეული ფართოფოთლოვანი ტყით. აქ მრავალი ენდემური ცხოველი ბინადრობს, კერძოდ: კავკასიური თხუნელა, კავკასიური წყლის ბიგები, ა.შ.

ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი

აღნიშნული ზონა მოიცავს მრავალსართულიან მღვიმეთა კომპლექსს, ციხეს, სოფლის ტერიტორიაზე არსებულ 5 ეკლესიას, მინერალური წყლებს და აგიაშვილების რეზიდენციის ნაგებობათა ნაშთს.

განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსს განეკუთვნება ცუცხვათის მღვიმოვანი. იგი მდებარეობს ტყიბულის რაიონის სოფელ ცუცხვათის სამხრეთით, ოკრიბა - არგვეთის სერზე, ზღვის დონიდან 250-400 მ. სიმაღლეზე. ადგილობრივი მოსახლეობა მას „მალარას“ უწოდებს. მღვიმური კომპლექსი გამომუშავებულია ცუცხვათის ქვაბულში გამდინარე პატარა მდინარის - შაბათაღელის მიერ. ქვედაცარცული ასაკის მასიურ კირქვებში მღვიმურ სისტემას უკავია 6-7 ჰა ფართობი. მდინარის დონიდან ყველაზე მაღალ მღვიმემდე 60-70 მ-ია. მღვიმე შედგება 13 სართულისგან. თავისი სიძველით და სართულების რაოდენობით ცუცხვათის მღვიმოვანი ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში.



ქვევიდან პირველი სართული ადამიანისთვის გაუვალი ვიწრო ხვრელია, რომელშიც გაედინება მუდმივი ნაკადი - მდ. შაბათაღელე. მღვიმის ქვემოთ მდინარეს ჭიშურა ეწოდება. მეორე სართული (მთავარი ტალანი) ატარებს უზარმაზარი ბუნებრივი გვირაბის ხასიათს (სიგრძე - 200 მ, სიგანე - 10-30 მ, სიმაღლე 10-28 მ). მასში წყალი მხოლოდ შაბათაღელის წყალდიდობის დროს გაედინება. ტალანის განშტოებებში არის წყაროები, პატარა ტბა, კალციტის ნაწვეთი ფორმები.

წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი



ბუნების ძეგლი წარმოადგენს ულამაზეს კოლხური ტყით დაფარულ, განსაკუთრებული სილამაზით გამორჩეულ მდ. წყალწითელას კანიონისებურ ხეობას. ლეგენდის თანახმად წყალწითელას სახელი ხრესილის ომის დროს დაერქვა, რადგან სისხლისაგან წყალი წითლად შეიღება. რეალურად მდინარის მიერ ფერის შეცვლის მიზეზი არის ის, რომ როცა მდინარე დიდდება, ის წითელი მიწის ქანებს რეცხავს და წყალი წითელ ფერს იღებს.

ხეობაში არის სამკურნალო თვისებების მინერალური წყლები. მდინარეში მრავლადაა კალმახი, ჭანარი, მურწა, შამაია, ა.შ. მდინარის ნაპირებზე კი წავი და ნუტრია ბინადრობს. ზამთარში შესაძლებელია წყალმცურავი ფრინველების ნახვა, ხოლო მუძუმწოვრებიდან გვხვდება ტურა, მელა და მაჩვი.

ძმუისი კანიონინგის ცენტრი



სოფელი ძმუისი ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოჩხეთის თემის შემადგენლობაში შედის, მდებარეობს ტყიბულიდან 20 კმ-ში, ხოლო ზღვის დონიდან 786 მ სიმაღლეზე რაჭის მასივის სამხრეთ კალთებზე მდ. ლეხიდარის ხეობაში.

აქ ტურისტული ინფრასტრუქტურა არასოდეს ყოფილა მოწყობილი.

საწირე

სოფელი საწირე წარმოადგენს საწირეს თემის ცენტრს, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 650 მეტრზე. საწირე მდებარეობს ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ზონაში, ამ ტერიტორიაზე ხდება ზღვისა და მთის ჰავის შერწყმა, რაც განსაკუთრებულ ეფექტს იძლევა და გამოიყენება რიგი დაავადებების სამკურნალოდ.

საწირეს ტურისტულ მიმზიდველობას აგრეთვე ხელს უწყობს მისი მდებარეობა შუა საუკუნეების ისტორიული ძეგლებით მდიდარ რეგიონში - იმერეთში. მათ შორის ძალზედ მნიშვნელოვანია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ბაგრატის ტაძარი და გელათის სამონასტრო კომპლექსი, ასევე უბისის მონასტერი, მოწამეთა, ა.შ. აღნიშნული ისტორიული ძეგლები და აგრეთვე მუზეუმები მდებარეობენ საწირედან დაახლოებით 20-40 კმ-ის რადიუსში, რაც მომავალში სოფელში დასასვენებლად ჩამოსული უცხოელი ტურისტებისათვის მათ მონახულებას ხელმისაწვდომს გახდის.

მიუხედავად აღნიშნული უპირატესობისა, დღეისათვის საწირე არ წარმოადგენს ტურისტული ნაკადების დანიშნულების ადგილს.

მიმდინარე ეტაპზე საწირეში საფუძველი ეყრება საინტერესო პროექტს, რომელიც უახლოეს მომავალში ადგილზე სტუმრების ნაკადს ინტენსიურს გახდის. კერძოდ, საქართველოს განათლების სამინისტროსა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე სოფელ საწირეში პროფკავშირების საკუთრებაში არსებული სანატორიუმის ბაზაზე მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოს პედაგოგების გადამზადების მუდმივმოქმედი ცენტრის მოწყობა. ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და ცენტრის ფუნქციონირების დაწყება დაგეგმილია 2018 წლიდან. ცენტრი იფუნქციონირებს მუდმივმოქმედ რეჟიმში და მასში გადამზადებას გაივლის დასავლეთ საქართველოში მოქმედი ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დახლოებით 15 000 პედაგოგი.

აღნიშნული ფაქტი ძალზედ მნიშვნელოვანია რიგი საკითხების გამო. კერძოდ, ხელი შეუწყობა საწირეში სტუმართა სტაბილური ნაკადების არსებობას, რაც თავის მხრივ დღის წესრიგში დააყენებს მათი კვების, გართობისა და დასვენების მომსახურების აუცილებლობას. შესაბამისად, აღნიშნული ცენტრი წარმოქმნის მსხვილმასშტაბიან მოთხოვნას სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო, მომსახურების მიწოდებაზე სოფელ საწირეში და მასტიმულირებელ ზეგავლენას მოახდენს სოფლის ეკონომიკაზე.

ტყიბულის წყალსაცავი

მუნიციპალიტეტის ტურისტულ რესურსებში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება ტყიბულის წყალსაცავს როგორც ტურიზმისა და ახალგაზრდული ღონისძიებების, ასევე მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის სამომავლო აქტივობების კონცენტრაციის ადგილს. ტბა ზღვის დონიდან

დაახლოებით 520 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, სარკის ფართობი შეადგენს 12,1 კმ²-ს, წყლის მოცულობა დაახლოებით 84 მლნ.მ³, ხოლო მაქსიმალური სიღრმე დაახლოებით 12 მეტრია. ტბა წარმოადგენს ხელოვნურ წყალსაცავს, რომელიც საზრდოობს ატმოსფერული ნალექებითა და დროებითი ნაკადებით. ნალექების წლიური მოცულობაა 1750 მმ. წყლის მაქსიმალური დონე - ივნისშია, ხოლო მინიმალური - ოქტომბერში.

დასკვნა

დღეის მდგომარეობით ტყიბულის მუნიციპალიტეტის არეალში ხელმისაწვდომი ტურისტული სერვისები მცირე გამონაკლისის გარდა ნაკლებადკონკურენტულია როგორც რეგიონში, ასევე ქვეყნის მასშტაბით არსებულ მომსახურების სპექტრთან შედარებით.

მიმდინარე ეტაპზე ხელმისაწვდომია მხოლოდ კულტურული ტურიზმის მომსახურება, ისიც შეზღუდული დიაპაზონით. რაც შეეხება პოტენციალს, იგი პრაქტიკულად აუთვისებელია: აგროტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, რეკრეაცია, სპა, ა.შ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კარგი შესაძლებლობებია თრექინგის, სპელეო ტურიზმისა და კლეზე ცოცვის აქტივობების განსახორციელებლად. შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტურისტული განვითარების სტრატეგია ფოკუსირებას უნდა ახდენდეს როგორც ბუნების წიაღში პასიური დასვენებაზე და მკურნალობაზე, ასევე ექსტრემალური ტურიზმის მთელი რიგი სახეობების განვითარებაზე. კერძოდ, სპელეოტურიზმზე, კლდეზე ცოცვაზე, ველოტურიზმზე, საცხენოსნო ტურიზმზე, პარაპლანითა და დელტაპლანით ფრენაზე, სპორტული თევზაობაზე, ა.შ.

სტრატეგიის სამიზნე ჯგუფები კი ორიენტირებული უნდა იყოს სხვადასხვა სეგმენტზე, როგორც ახალგაზრდობის, ასევე საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე დამსვენებელთა სეგმენტზე. საწყის ეტაპზე ორიენტირი ქართველ დამსვენებლებზე უნდა იქნეს აღებული, ხოლო სამომავლოდ ასევე უცხოელ დამსვენებლებზე.

რეკომენდაციები

ტყიბულის მუნიციპალიტეტში ჩანასახოვანი ტურისტული აქტივობებიდან ინდუსტრიული საფუძვლების შესაქმნელად საჭიროა მრავალფეროვანი სპექტრის, მაღალი ხარისხის ტურისტული მომსახურების გენერირება, რაც დაეფუძნება შემდეგი რესურსების გამოყენებას:

- ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ა.შ.
- მიმზიდველი კულტურა, ტრადიციები
- სტუმართმოყვარეობა და სამზარეულო

ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად, პირველი რიგის ამოცანად ყალიბდება:

- მყარი ინფრასტრუქტურის მოწყობა-მოწესრიგება
- ტურისტულ-რეკრეაციული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა

- ადგილზე ტურიზმის სატრენინგო ცენტრის ამოქმედება
- მომსახურების მიწოდება და დამაკმაყოფილებელი ხარისხის მიღწევა

საწყის ეტაპზე აუცილებელ წინაპირობად ყალიბდება სახელმწიფოს ჩართულობა მყარი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. ასევე მნიშვნელოვანია მოგვიანებით სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კონკურენტული ტურისტული რესურსების ასამოქმედებლად საჭირო საწყისი ინვესტიციების მოსაზიდად. აღნიშნული ქმედებები ხელს შეუწყობს კერძო ინვესტიციების მოზიდვას წილობრივ საფუძველზე და გაზრდის კერძო სექტორის დაინტერესებას მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ასამოქმედებლად. საბოლოო ჯამში როგორც მყარ, ასევე დარგობრივი ინფრასტრუქტურაში ჯეროვანი ინვესტიციების შედეგად მიღწეული იქნება მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის ტურისტული მომსახურების წარმოქმნა.

მუნიციპალიტეტის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პირველადი ანალიზის შედეგად ყალიბდება ის სტრატეგიული მიმართულებები, რომლებიც განვითარების საწყის ეტაპზე წარმოადგენენ განსახორციელებელ პრიორიტეტებს:

ტურისტული აქტივობები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია ადგილზე

ცხრაჯვარი

მყარი ინფრასტრუქტურის მოწყობა

- გზის აექსპლოატაციო კონდინციაში მოყვანა, 4 მ. სიგანის და 16 სმ სისქის ასფალტისა და ბეტონის საფარის დაგება, გზის განათების მოწყობა, ა.შ.
- დენი, წყალი, გაზი.

ტურისტულ-რეკრეაციული აქტივობები

დასასვენებელი სახლი

- ცხრაჯვარის ტერიტორიაზე არსებობდა პანსიონატის ტიპის დასასვენებელი სახლი, რომელსაც ყოველწლიურად ბევრი დამსვენებელი სტუმრობდა. გარემო პირობები, მთისა და ტყის ერთობლიობა ქმნის იდეალურ გარემოს ბუნების წიაღში დასვენებისთვის. პროექტის ერთ-ერთი მიზანია ცხრაჯვარს დაუბრუნდეს პირვანდელი ფუნქცია და კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს როგორც პასიური ასევე აქტიური დასვენების მოყვარულთათვის. შესაბამისად, საჭიროა განთავსების ინფრასტრუქტურის მოწყობა - მცირე ზომის სასტუმრო, კოტეჯები, ი ა.შ.

ადგილის რელიეფი იძლევა უნიკალურ შესაძლებლობებს ექსტრემალური ტურიზმის სხვადასხვა სახეობების განვითარებისთვის. როგორიცაა:

კლდეზე ცოცვა

ადგილობრივი ლანდშაფტი, სხვადასხვა დახრილობის, მათ შორის უარყოფითი დახრის მქონე კლდოვანი მასები იძლევა როგორც სწრაფი, ასევე კლდეზე სტანდარტული ცოცვის საშუალებას. შესაძლებელია მოეწყოს სასწავლო და სავარჯიშო ბაზა კლდეზე მცოცველთათვის. სასწავლო მოყვარულთათვის და სავარჯიშო - პროფესიონალებისათვის.

გარდა ცხრაჯვარისა, ასევე მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია წყალსაცავის მიმდებარედ არსებულ ადგილს, ე.წ. „პალტინას“(იხ. სურათი), რომელიც ტრადიციულად გამოიყენება მეკლდეურობის კუთხით შეჯობრებებისა და საწვრთნელი შეკრებების ორგანიზებისას. შესაბამისად, აღნიშნულ ადგილას საწვრთნელი და განთავსების ინფრასტრუქტურის მოწყობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, როგორც წყალსაცავის სანაპირო ზოლის ათვისებას, ასევე ამ ადგილის, როგორც მეკლდეურობის სახეობის ფუნქციის მატარებელი ცნობადი ობიექტად ჩამოყალიბებას.

მეკლდეურობის ობიექტი - „პალტინა“ წყალსაცავთან



პარაპლანითა და დელტაპლანით ფრენა

იმის გამო, რომ გაფრენის წერტილსა და დაშვების წერტილს შორის (ქ.ტყიბულის ადგილმდებარეობის მიმართება ცხრაჯვარის ქედთან) სიმაღლე დაახლოებით 1300მეტრია, არის იმის საშუალება, რომ განხორციელდეს გრძელ მანძილზე დაშვება და გაიზარდოს ფრენის ხანგრძლივობა. (დაშვება შეიძლება განხორციელდეს ახალსოფლის ან საწირის სანაპირო ზოლში).

ექსტრემალური საფეხმავლო ტურიზმი

ექსტრემალური საფეხმავლო ტური რაჭაში, ნაქერალას უღელტეხილის გავლით ცხრაჯვარის მთაზე ასვლა დაზღვევით (თოკი).

ცუცხვათის მღვიმოვანი კომპლექსი

ცუცხვათში არსებული ისტორიული, კულტურული, არქეოლოგიური, სამკურნალო-მინერალური, ბუნებრივი რესურსების არსებობა წარმადგენს იმის წინაპირობას, რომ მოხდეს აღნიშნული რესურსების გამოყენება, რათა ცუცხვათი გახდეს ქვეყნის მასშტაბით განვითარებული ტურისტული ობიექტი. დღეის მდგომარეობით იგი საჭიროებს როგორც ტავად მღვიმის განაშენიანებას, ასევე მისასვლელი გზის, პარკინგის და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს მისი, როგორც ქვეყანაში ერთერთ ყველაზე საინტერესო ტურისტულ ადგილად გამოყალიბებას.

ასევე აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში რ. ჯანაშვილის მიერ შემუშავებული იქნა ცუცხვათის მღვიმოვანის განაშენიანების გენერალური გეგმა.

აგროტურიზმი - საოჯახო სასტუმროები

ტყიბულის მუნიციპალიტეტში ტურისტული მომსახურების გააქტიურების ძირითადი რესურსი აგროტურიზმის განვითარებაა. იგი ითვალისწინებს ტურისტების მიერ სოფლის გარემოში დასვენებას, ადგილობრივ მცხოვრებთ სახლებში განთავსებას და ადგილობრივი საკვები პროდუქტების მოხმარებას.

საოჯახო სასტუმროების მომსახურება ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობს ქვეყნის მასშტაბით, რაც განპირობებულია ურბნული არეალის მცხოვრებთა ბუნებრივი მიდრეკილებით გაერიდონ გადამღლელ, ხმაურიან, არაეკოლოგიურ გარემოს და დაისვენონ მშვიდ გარემოში, რომელიც არა მხოლოდ ლამაზი ბუნებით, არამედ საინტერესო იდენტობისა და მასპინძლობის ტრადიციებით ხასიათდება.

საოჯახო სასტუმროების ბიზნესის განვითარება არ საჭიროებს მარალ კაპიტალურ დანახარჯებს იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ სოფლებში ძალიან ბევრია 2 სართულიანი, გამოუყენებელი ფართის სახლები. სოფლებში საოჯახო სასტუმროთა ინტენსიური ქსელის გასამართად საჭირო იქნება ხელშემწყობ ღონისძიებათა სპეციალური გეგმის რეალიზება, რომელიც გულისხმობს:

- ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადება ტურისტული მომსახურებისათვის საჭირო ხარისხის მისაღწევად კვების მომსახურების, სველი წერტილების მოწყობისა და ჰიგიენური ნორმების, მინიმალური საკომუნიკაციო-ენობრივი ჩვევების, უსაფრთხოების კუთხით.
- საოჯახო სასტუმროების სტანდარტისა და ინფრასტრუქტურის, სასტუმროსთან მისასვლელი გზების მოწყობა.
- აუცილებელი მინიმალური სამეწარმეო განათლების, სესხების მიღებისა და მართვის, ტექნიკურ-მარკეტინგული ინფორმაციის მიღება.

საოჯახო სასტუმროების ქსელის ინტენსიფიკაცია ტყიბულის მუნიციპალიტეტში მაღალი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის თემაა, რაც პერსპექტივაში ეკონომიკური გაჯანსაღებისკენ მიმავალი ყველაზე მოკლე გზაა, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს:

- სოფლებიდან სეზონური მიგრაციული ნაკადების დასტაბილურება
- სოფლის მეურნეობის პროდუქტის მოცულობების ზრდა
- ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნა
- სიღარიბის მაჩვენებლების შემცირება და კეთილდღეობის მაჩვენებლების გაუმჯობესება

სპელეოტურიზმი

ადგილზე არსებული კარტული მღვიმეები, რომლებიც ჯერ სრულად გამოკვლეული და კეთილმოწყობილი არ არის, იძლევა იმის საშუალებას, რომ მნახველი ერთგვარი პირველადმომჩენი გახდეს ამ ტერიტორიის, სპეციალური ტანსაცმლისა და განათების გამოყენებით და გამყოლების დახმარებით პირვანდელი სახით იხილოს, „ადმოაჩინოს“ და „გამოიკვლიოს“ მიწისქვეშა ტერიტორია.

ამის შანსი მსოფლიოში ბევრგან არ არის, რაც ძალიან მიმზიდველს ხდის რეგიონს. მიწისქვეშა ექსპედიციები შეიძლება მოეწყოს ყველა კატეგორიის მსურველისთვის. როგორც დამწყებებისთვის, ასევე შედარებით გამოცდილი მოყვარულებისა და პროფესიონალებისთვის.

პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა დაცული იქნას ტერიტორია, მომზადდეს გამყოლები, გათვალისწინებული იქნას უსაფრთხოების ზომები, რათა არ დაზიანდეს გამოქვაბულები და მათი ეკოსისტემა და საფრთხე არ შეექმნას ტურისტების ჯანმრთელობას.

ტურისტების გამოქვაბულებში შესვლა დაშვებული იქნას მხოლოდ წინასწარი მომზადების (ინსტრუქტაჟი, სათანადო აღჭურვილობა, მარშრუტის შეთანხმება) შემდეგ, მხოლოდ გამყოლების თანმხლებით. ინსტრუქტორებისა და გამყოლების გარეშე გამოქვაბულში დაშვება შესაძლებელია მხოლოდ გამოცდილი პროფესიონალებისთვის, რომელთაც სათანადო აღჭურვილობა და მომზადება ექნებათ.

ველოტურიზმი

ველოტურები ბოლო პერიოდში პოპულარობით სარგებლობს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაძლებელია სამთო ველოტურების მოწყობა როგორც მთიან, ასევე გრუნტის რელიეფზე. საჭიროა სერვისის ორგანიზება, სადაც შესაძლებელი იქნება ველოსიპედის ქირაობა, აგრეთვე წინასწარ მომზადებული ველომარშრუტების რუკის ან აპლიკაციის ხელმისაწვდომობა. აპლიკაცია უნდა შეიცავდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მარშრუტებს საფარის ხარისხის, დახრილობის, სიგრძის, გზად არსებული ტურისტული ღირშესანიშნაობების, კვების ობიექტების, ა.შ. შესახებ.

საცხენოსნო ტურიზმი

საცხენოს ტურიზმი მუნიციპალიტეტის ფარგლებში მიწოდებულ სერვისებს შორის აქტიური დასვენების ერთ-ერთ მოთხოვნად სახედ შეიძლება იქცეს. საჭიროა იმგვარი მომსახურების ორგანიზება, სადაც ტურისტს შესთავაზებენ როგორც ცხენზე ჯდომის სწავლებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით წყალსაცავის გარშემო როგორც მოკლე, ასევე გრძელ მარშუტებს. ადგილზე არსებული მიმზიდველი ბუნება, ლამაზე ლანდშაფტები, უნიკალური ფლორა, მთიანი რელიეფი და ისტორიული ძეგლები ხელსაყრელ წინაპირობებს ქმნის ტრიბულის მუნიციპალიტეტში საცხენოსნო ტურიზმის განვითარებისათვის.

ისტორიული ადგილები - ხრესილი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადაადგილებისას ტურისტისათვის მნიშვნელოვანია ისტორიული დატვირთვის მატარებელი ადგილების მონახულება. შესაბამისად, ადგილობრივ მარშრუტებში საჭირო იქნება იმ ადგილის შეტანა, სადაც ხრესილის ბრძოლა გაიმართა. საინფორმაციო მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად და ამ ადგილის ისტორიულ მნიშვნელობას კარგად წარმოადგენს ტურისტისათვის ბრძოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მიმდინარე ეტაპზე ადგილი ჯერ არ არის მზად ტურისტული შთბეჭდილების შესაქმნელად(იხ. სურათი).

ისტორიული მონუმენტი სოფელ ხრესილთან



საჭიროა მონუმენტის გვერდით სამზერი მოედნის მოწყობა, რომელიც გადაჰყურებს ბრძოლის ველს. აქედან ტურისტი დაინახავს ბრძოლის ადგილს და უკეთ წარმოიდგენს ბრძოლის

სცენარს. ასევე აუცილებელია ჩამოყალიბდეს სტანდარტული ინფორმაცია ამ ბრძოლის მსვლელობის შესახებ და გამარჯვების სამხედრო ტაქტიკის თაობაზე, რასაც ყველა გიდი თუ მასპინძელი დაისწავლის. ასევე აუცილებელი ორენოვანი საინფორმაციო დაფის მოწყობა, რომელიც ბრძოლის მნიშვნელობას და შინაარსს გადმოსცემს.

საფეხმავლო მარშრუტები და ლაშქრობები

აღნიშნული აქტივობა მეტად პოპულარულია როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელი ტურისტებს შორის. ამ მიმართულების გასააქტიურებლად საჭიროა კვლავიცირებული ექსპერტიზის გამოყენება მარშრუტების შემუშავებისას. კერძოდ, მარშრუტები უნდა იყოს უსაფრთხო, საინტერესო და განსხვავებული სირთულის. ხოლო მთიან ადგილებში მოგზაურობისას ასევე აუცილებელია დეტალური რუკით უზრუნველყოფა. უსაფრთხოების თვალსაზრისით საჭიროა სამაშველო სამსახურის საკონტაქტო კოორდინატებით უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში დამზრვევი მექანიზმებისა და ევაკუაციის დეტალური გეგმა

მიმდინარე ეტაპზე ინდენტიფიცირებულია მუნიციპალიტეტის ფარგლებში ხელმისაწვდომი საინტერესო მარშრუტები:

ცხრაჯვარი

1. მარშრუტის დასახელება: ცხრაჯვარი-შაორის ტბა-ნიკორწმინდა
მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო, სატრანსპორტო
მარშრუტის სიგრძე: 15 კმ
მარშრუტის სირთულის კატეგორია: უმაღლესი- შესაძლებელია კლდეზე ცოცვის, ალპინიზმის, სპელეოლოგიის, დალტა და პარაპლანერიზმის განვითარება, შეიცავს ექსტრემალური ტურის ელემენტებს.
მარშრუტის სანახავი ობიექტები: ნაქერალას ურელტეხილი, შაორის ტბა, ნიკორწმინდა.
2. მარშრუტის დასახელება: ცხრაჯვარი-ბანგურა მინდორი-მტასაყდარი
მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო, საცხენოსნო
მარშრუტის სიგრძე: 7 კმ
მარშრუტის სანახავი ობიექტები: ცხრაჯვარის 1; 2; 3-ე მღვიმეები, მურადის მღვიმე, რაწის მღვიმე, მთასაყდარი-მთის წმ. გიორგის ეკლესია, დასავლეთ საქართველოს ხედი-პანორამა.
3. მარშრუტის დასახელება: ცხრაჯვარი-სოჩხეთი-მმუისი
მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო
მარშრუტის სიგრძე: 15 კმ
მარშრუტის სანახავი ობიექტები: მურადის და რაჭის მღვიმე, მთასაყდარი, თხმორის ჩანჩქერი, შარაულის ხეობა, ცახის მღვიმე, გოგოლეთის მღვიმე, კახიძის მღვიმე, ბუნებრივი ხიდი მდ. სარაულაზე.

ცუცხვათი

1. მარშრუტის დასახელება: ცუცხვათი-გელათი
მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო, საცხენოსნო
მარშრუტის სიგრძე: 9 კმ
მარშრუტზე სანახავი ობიექტები: 17-ე საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ჭალისთავის ეკლესია, ზეობნის 10-11 საუკუნეების ეკლესია, გელათის სამონასტრო კომპლექსი, სოფ. გელათის არეალში არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლები.
2. მარშრუტის დასახელება: ცუცხვათი-გოგნი
მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო, საცხენოსნო
მარშრუტის სიგრძე: 12 კმ.
მარშრუტზე სანახავი ობიექტები: უნაგირას წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევები, ოკრიბა-არგვეტის პანორამა, ახალსოფლის წაყალსაცავი, ტყიბულა ძეგრულას მღვიმე, გოგნის კარუდებელი წმ. გიორგის ეკლესია, გოგნის უდაბნო-სამონასტრო კომპლექსი.
3. მარშრუტის დასახელება: ცუცხვათი-სიმონეთი
მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო, საცხენოსნო
მარშრუტის სიგრძე: 11კმ.
მარშრუტზე სანახავი ობიექტები: უნაგირას წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები, სიმონეთის წმ. გიორგის 18-ე საუკუნის ეკლესია, დავიტ კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი, ტერმული აბანოები, ღვინის მარნებში ღვინის დეგუსტაცია.
4. მარშრუტის დასახელება: ცუცხვათი-სეფარეთი-ძეგრი
მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო, საცხენოსნო
მარშრუტის სიგრძე: 16კმ
მარშრუტზე მოსანახულებელი ობიექტები: მდ. ჭაჩხურის სათავე, ხატის სამალავის მღვიმე, „ძეგრჰესი“, ძეგრის სტრუქტურულ-რელიეფური ქვაბები, საგვარჯილეს მღვიმე
5. მარშრუტის დასახელება: ცუცხვათი-ჭალისხევი-ნავენახევი
მარშრუტის სახეობა:საფეხმავლო, საცხენოსნო
მარშრუტის სიგრძე: 10 კმ.
მარშრუტზე სანახავი ობიექტები: უკურთხებელინ ეკლესია, ნავენახევის მღვიმე, ეთნოგრაფია-ღვინის დეგისტაცია

ტყიბული

ტყიბულიდან შესაძლებელია მოეწყოს ტურისტული მარშრუტები შემდგი მიმართულებებით:

6. მარშრუტის დასახელება: ტყიბული ცხრაჯვარი
მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო, საცხენოსნო, სატრანსპორტო

მარშრუტის სიგრძე: 12 კმ

მარშრუტზე სანახავი ობიექტები: ცხრაჯვარის 1; 2; 3-ე მღვიმეები, „რაჭისა“ და „მურადის“ მღვიმეები, ცხრაჯვარის სალოცავი და კოლხეთის დაბლობის ხედი-პანორამა.

7. მარშრუტის დასახელება: ტყიბული-მუხურა

მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო, საცხენოსნო, სატრანსპორტო

მარშრუტის სიგრძე: 15 კმ

მარშრუტის სანახავი ობიექტები: მუხურის ჩანჩქერი, მუხურის ციხე, ელდათის წმინდა გიორგის ეკლესია, მდ. ქვერუნას ხეობა და მღვიმე

8. მარშრუტის დასახელება: ტყიბული-ცუცხვათი

მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო, სატრანსპორტო

მარშრუტის სიგრძე: 25 კმ

მარშრუტის სირთულის კატეგორია: უმაღლესი, ტყიბულა-მევრულას მღვიმე-უფსკრული(ექსტრემალური)

მარშრუტზე სანახავი ობიექტები: ცუცხვათის მღვიმე, ცუცხვათის ციხე, ცუცხვათის ეკლესიები - 3, ოკრიბა-არგვეთის პანორამა, ეთნოგრაფია და ფოლკლორი.

9. მარშრუტის დასახელება: ტყიბული-ნიკორწმინდა

მარშრუტის სახეობა: სატრანსპორტო

მარშრუტის სიგრძე: 25 კმ-მარშრუტზე სანახავი ობიექტები: ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ნაქერალას ურელტეხილი, საორის წყალსაცავი, მღვიმე საყინულე, მარაულას და ცივწყალას მღვიმეები, ნიკორწმინდის ტაძარი.

10. მარშრუტის დასახელება: ტყიბული-ძმუისი

მარშრუტის სახეობა: სატრანსპორტო

მარშრუტის სიგრძე: 20 კმ

მარშრუტზე სანახავი ობიექტები: მდ. ლეხიდარის და მდ. მეჩხერის კანიონი და ჩანჩქერები, სათვალთვალო კოშკი, ღვინის მარანი, მთის სოფლის ეთნოგრაფია და ფოლკლორი.

ძმუისი

11. ტურისტული მარშრუტის დასახელება: ძმუისი-მდ. ლეხიდარის და მეჩხერის კანიონები, ლევნარის ტყე, ნაქერალას ხედი.

მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო

მარშრუტის სიგრძე: 14 კმ

მარშრუტის სირთულის კატეგორია: უმაღლესი, შეიცავს ექსტრემალური ტურის ელემენტებს

მარშრუტის სანახავი ობიექტები: მდ. ლეხიდარის და მეჩხერის კანიონები, ჩანჩქერები, მამათა მონასტერი, მთასაყდარი, მურადის და რაჭის მღვიმეები

12. ტურისტული მარშრუტი: ძმუისი-რაჭის მასივი-სოფ. თხმორი, სოფ. გოგოლათი.

მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო

მარშრუტის სიგრძე; 23 კმ

მარშრუტის სანახავი ობიექტები: მ. ლეხიდარის სატავე, მთასაყდარი, სოფ. თხმორი-ეთნოგრაფიული, მდ. სარაულას ხეობა, ცახის მღვილე, გოგოლათის მღვიმე, კახიდის მღვიმე.

13. მარშრუტის დასახელება: ძმუისი-ნაქერალას ქედი, საორის ტბა-სოფ. ნიკორწმინდა

მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო

მარშრუტის სიგრძე; 19 კმ

მარშრუტის სანახავი ობიექტები: მდ. მეჩხერის სატავე, მთა მეწველა-კოლხეთის დაბლობის და დიდი კავკასიონის ხედეზ--პანორამა, შრატული ველები, ესტაველები, სასულეები, შაორის ტბა, ბატონის ტყე, ნიკორწმინდის 11-ე საუკუნის ეკლესია

ძმუისი კანიონინგის ცენტრი

მიმდინარე ეტაპზე განსახორციელებელ პრიორიტეტულ ღონისძიებებს განეკუთვნება: ტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, კოტეჯების ჩადგმა, ტურისტული მარშრუტების შემუშავება, დასამზერი მოედნის მოწყობა. ასევე შეასაძლებელია კლდეზე ცოცვის, ალპინიზმის, სპელეოლოგიის, დელტა და პარაპლანერიზმის განვითარება.

სპორტული თევზაობა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალსაცავი თევზაობის მსურველთათვის იძლევა სპორტული თევზაობის ტურების მოწყობის საშუალებას რისთვისაც საჭირო იქნება სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ღვინის ტური - გურნის მარანი

ღვინის ტურიზმს განვითარების პოტენციალი გააჩნია იმერეთის რეგიონში. აღნიშნული ეხება შუშხუნა ღვინოს. საბჭოთა ეპოქაში შუშხუნა ღვინის წარმოებამ იმერეთში მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწია, როდესაც მაქსიმალურად გაიზარდა არნიშნული კატეგორიის ღვინისათვის საჭირო ვაზის ჯიშების ნარგავები. მოგვიანებით აღნიშნული ინდუსტრიამ დეგრადირება განიცადა, თუმცა დღეის მდგომარეობით დარგი თანდათანობით პროგრესირებს. ტურიზმის თვალსაზრისით საინტერესოა საოჯახო ღვინის ტურების ზრდის დინამიკა, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია ბაღდათისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში.

რაც შეეხება ტყიბულის მუნიციპალიტეტს. დღეისათვის ტურიზმის თვალსაზრისით საინტერესო ობიექტის „გურნელების მარანი“, სადაც ცოლიკოურის ჯიშის ყურძნისაგან მზადდება თეთრი მშრალი ღვინო(იხ. სურათი).

გურნის ცოლიკაური



ვინაიდან „გურნელების მარანი“ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პრაქტიკულად ერთადერთი ობიექტია, სადაც ღვინის ტურის ორგანიზება ქნება შესაძლებელი, საჭიროა დაჩქარდეს ადგილზე ტურისტების მისაღებად აუცილებელი მინიმალური ინფრასტრუქტურის მოწყობა.

მინერალური წყლები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოედინება მინერალური წყალი: კურსებში, ბუეთში, სოჩხეთში, კოკაში, ცუცხვათში, მუხურასა და ლელვაში. აღნიშნული რესურსის გამოსაყენებელ კონდინციაში მოსაყვანად საჭიროა ინვესტიციების განხორციელება სამკურნალო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

კინოგადაღების ტურიზმი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კლიმატური პირობები, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსები მიმზიდველ ფაქტორად შეიძლება ჩამოყალიბდეს კინოგადაღებების ტურიზმისათვის. აქ გვხვდება როგორც განსხვავებული ლანდშაფტები, ასევე აუთენტური გარემო, ხელშეუხებელი ბუნება და მრავალი ბუნების ძეგლი.

ბუნებრივია, მხოლოდ აღნიშნული რესურსი არ წარმოადგენს ამ სფეროში კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ფაქტორს. დიდ მნიშვნელობა ენიჭება კინოგადაღებების საერთაშორისო პროექტებში საფინანსო სტიმულების არსებობას რაც გადმდები ჯგუფების დაინტერესების მთავარ საგანს შეადგენს. ასევე თანამედროვე სასტუდიო ინფრასტრუქტურის არეობა აუცილებელი წინაპირობაა ხელსაყრელი კონტრაქტების მისაღებად. აღნიშნული ხელშემწყობი გარემოს ფორმირება საკანონმდებლო თუ ცენტრალური სამთავრობო

დონის პრეროგატივაა. იმ შემთხვევაში, თუ კონკურენტუნარიანი წამახალისებელი მექანიზმების დანერგვა და საჭირო რეკლამირება იქნება უზრუნველყოფილი, კინოგადაღების ტურიზმის რესურსი ტყიბულის მუნიციპალიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი კულტურული და ეკონომიკური ეფექტის მომტანი შეიძლება გახდეს.

საწირე - ახალი ტურისტული ადგილი

გარდა ბუნებრივი რესურსებისა, საწირეში ტურისტული საქმიანობის მიზანწონილობას ამყარებს საბჭოთა პერიოდში საწირეში არსებული ტურისტული აქტივობის გამოცდილება, რამაც მას იმ დროისათვის კურორტის რეპუტაცია შესძინა. დღესაც ხდება სასარგებლო კლიმატისა და ბუნებრივი პირობების გამოყენება დამსვენებელთა მომსახურების გასაწევად, თუმცა უმნიშვნელო მასშტაბებით. მოსახლეობის მცირე ნაწილისათვის ზაფხულის სეზონზე დღესაც შემოსავლის წყაროს წარმოადგენს საცხოვრებელი სახლების გაქირავებიდან შემოსული თანხები. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ობიექტებია ვერ აკმაყოფილებენ საოჯახო სასტუმროების სტანდარტებს, სოფელში დამსვენებლების მინიმალური ნაკადი მაინც შენარჩუნებულია, რაც განპირობებულია სოფლის საკურორტო რეპუტაციით, ბუნების მიმზიდველობით და სასარგებლო კლიმატური პირობებით.

მიმდინარე ეტაპზე საწირეში რამოდენიმე აუცილებელი პროექტია განსახორციელებელი. მათგან უმთავრესია სპორტული კომპლექსის აშენება, რომელიც სამომავლოდ სპორტული მომსახურების გაწევის შესაძლებლობებთან ერთად სოფლის ტურისტული მომსახურების პოტენციალს აამაღლებს. ღია სპორტული მოედნის ტერიტორია საშუალებას იძლევა მოეწყოს რაგბის და აგრეთვე ფეხბურთის სავარჯიშო კომპლექსი, რომელიც მოემსახურება რაგბის და ფეხბურთის კლუბებს შეკრებების ჩასატარებლად.

ღია სპორტული მოედნის ტერიტორია საწირეში



დღეისათვის შემუშავებულია ღია სპორტული მოედნის ადგილას თანამედროვე სპორტული კომპლექსის და სასტუმროს მოწყობის ბიზნეს-გეგმა, რომელიც მომზადებულია თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის სტუდენტების თემატური ჯგუფის მიერ.

სპორტული კომპლექსი და სასტუმრო



2016 წლის ზაფხულში დამსვენებლების მომსახურებას უწევდა ჯამურად 50 საწოლზე გათვლილი 5 საპილოტე საოჯახო სასტუმრო, შეთავაზებული იქნა დღეში 3-ჯერადი კვება.

გარდა ზემოხსენებულისა, საწირეში ტურისტული პოტენციალის ათვისება მოითხოვს შემდეგი ტურისტული ობიექტების ამოქმედებას:

- პანსიონატ "მეშახტე"-ს რეაბილიტაცია
- ახალი სასტუმროს მშენებლობა
- მოსახლეობის ხელშეწყობა მათ მიერ საკუთარი საცხოვრებელი სახლების გამოყენებით 20-მდე საოჯახო სასტუმროს ორგანიზებისათვის
- ტბის ინფრასტრუქტურის განვითარების დაწყება

გეოგრაფიული მდებარეობის, არსებული წინაპირობებისა და ამჟამად მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების გათვალისწინებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტში დღეისათვის საწირე ყველაზე ოპტიმალური დისლოკაციაა ტურისტების მიღების ორგანიზებისათვის.

საწირის განვითარების გეგმით გათვალისწინებული ტურისტულ-რეკრეაციული და სოციალური ინფრასტრუქტურის ასამოქმედებლად აუცილებელი ხდება წყლის ახალი მაგისტრალისა და კანალიზაციის სისტემების მოწყობა 2018 წელს, რაც სოფლის ტურისტული პოტენციალის ეფექტური გამოყენების წინაპირობებს წარმოქმნის.

ტყიბული-საწირეს სპორტული კლასტერი

რაც შეეხება ტყიბულის სპორტულ ინფრასტრუქტურას, მიმდინარე ეტაპზე გარემონტებულია და დასრულებულია სპორტის სასახლე(იხ. სურათი), ორი საფეხბურთო სტადიონი, საცურაო აუზი, საჭიდაო არენა, სხვ.

ტყიბულის სპორტის სასახლე



ამგვარად, შესაძლებელია ტყიბულის სპორტული ინფრასტრუქტურის გამოყენება ტურისტული დანიშნულებითაც, კერძოდ, სპორტული ტურიზმის გასააქტიურებლად.

ამ მიზნით, პრიორიტეტულ საკითხად ყალიბდება ტყიბულში განთავსების მინიმალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა. კერძოდ, პირველ ეტაპზე დღის წესრიგში დგება ტყიბულის სასტუმროს რეაბილიტაციის საკითხი.

შესაბამისად, კურორტ საწირეს სტრატეგიული განვითარების დოკუმენტით განსაზღვრული სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის შემთხვევაში რეალურად იკვეთება ის პოტენციალი, რომელიც საშუალებას იძლევა მუნიციპალიტეტში დაიგეგმოს და განვითარდეს ტყიბული-საწირეს რეგიონალური სპორტული კლასტერი.

სპორტული კლასტერის იდეის რეალიზება ხელს შეუწყობს მთლიანობაში ტყიბულის მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის განვითარებას. აღნიშნული კი წინაპირობაა არა მხოლოდ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების და პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებისა, არამედ ასევე მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობისაც. საბოლოო ჯამში, ტყიბული-საწირეს სპორტული კლასტერის ფორმირება პირდაპირ ეფექტს იქონიებს მუნიციპალიტეტში სპორტული ტურიზმის განვითარებაზე.

ტყიბულის წყალსაცავი - ახალსოფლისა და საწირის რეკრეაციული ზონები

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული წყლის რესურსთან ასოცირებული ტურისტული აქტივობები შეიძლება მნიშვნელოვან მიმზიდველ ფაქტორად ჩამოყალიბდეს. დღეის მდგომარეობით ეს რესური თითქმის გამოუყენებელია და მისი ინფრასტრუქტურის განვითარებით შეიძლება მიღწეული იქნეს ტურისტული სერვისების მრავალფეროვნება. ტყიბულის წყალსაცავის ირგვლივ რეკრეაციული ზონის შექმნით შესაძლებელია წარმოიქმნას საფუძველი მისათვის, რომ შემომავალი ტურისტების ადგილზე ყოფნის ვადა გახანგრძლივდეს ხოლო შთაბეჭდლებების სპექტრი გაიზარდოს. წყალსაცავის ირგვლივ რეკრეაციული ზონის მოწყობა ასევე წარმოქმნის მძლავრ სტიმულს შიდა ტურიზმის ნაკადების მოსაზიდაც, როგორც გრძელვადიანი, ასევე უიკენდის გასატარებლად.

ტყიბულის წყალსაცავი



ტყიბულის წყალსაცავის განვითარები პერსპექტივა ძირითადად 2 ადგილმდებარეობას უკავშირდება - საწირისა და ახალსოფლის მიმდებარე სანაპირო ზოლებს.

რაც შეეხება ახალსოფლის მხრიდან სანაპირო ზოლის ათვისებას, აქ შესაძლებელია საწყალოსნო სპორტის განვითარებისათვის საჭირო ბაზის შექმნა - ნავმისადგომის მოწყობით და განთავსების ობიექტის აშენებით. ასევე, შესაძლებელია საბჭოთა პერიოდში მოწყობილი ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარება. კერძოდ, მომსახურე პერსონალისათვის არსებული შენობის შეკეთება და ნავმისადგომის აღდგენა.

წყალსაცავის პოტენციური საშუალებას იძლევა ორგანიზებული იქნას ტბის პირას დასვენება. დამსვენებლებს საშუალება ექნებათ ნავეებით გაისეირნონ და აგრეთვე ითევზაონ. ტბის პირას პლაჟისა და საკემპინგე ადგილის მოწყობა სასიამოვნოს და მიმზიდველს გახდის წყალსაცავის რესურსის გამოყენებას.

საწირის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება წყალსაცავის სანაპირო ზოლის ათვისებას. კერძოდ, გეგმის მიხედვით სოფლის განვითარების მესამე ეტაპზე, რომელიც დაახლოებით 2020 წლიდან იწყება, გათვალისწინებულია ტურიზმის სფეროში მსხვილი ბიზნეს პროექტების განხორციელება. კერძოდ, იგულისხმება წყალსაცავის ირგვლივ რეკრეაციული ინფრასტრუქტურის და აგრეთვე მსხვილი მასშტაბის დასასვენებელი კომპლექსის მოწყობა (იხ. სურათი - კონცეპტუალური მაკეტი)

წყალსაცავის სანაპირო ზოლის განვითარების კონცეპტუალური მაკეტი



აღსანიშნავია, რომ 2016 წლის აპრილში წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე საწირემ უმასპინძლა ახალგაზრდული ლაშქრობის ღონისძიებას, სადაც დაახლოებით 1500 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

2016 წლის აპრილში ახალგაზრდული ლაშქრობა სოფელ საწირეში, წყალსაცავის სანაპიროზე.



სატრეინინგო ცენტრის ფუნქციონირება

ტურიზმის სფეროს გააქტიურება გარდა ინფრასტრუქტურული და საფინანსო ღონისძიებებისა, მოითხოვს მომსახურების განხორციელებისათვის აუცილებელი მინიმალური კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ადგილობრივ მოსახლეობაში. შესაბამისად, საჭირო იქნება სატრეინინგო პროგრამების შემუშავება და მოსახლეობისათვის მიწოდება ადგილზე ტურისტულ აქტივობებში ჩაბმული კადრების მომზადების უზრუნველსაყოფად.

როგორც აღინიშნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ საწირეში ამჟამად მიმდინარეობს პედაგოგთა პროფკავშირების მფლობელობაში არსებული დასავლეთ საქართველოს პედაგოგთა გადამზადების ცენტრის რეაბილიტაცია და სარემონტო სამუშაოები.

ასევე, ამ ეტაპზე მიმდინარეობს საწირეში პროფესიული გადამზადების ცენტრი შექმნის შესაძლებლობების შესწავლა, რომელიც სატრეინინგო მომსახურებას გაუწევს ადგილობრივ მოსახლეობას სოფლის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული პროექტების სარეალიზაციოდ საჭირო კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების შეძენაში.

აღნიშნული ცენტრების ამოქმედების შემთხვევაში სავარაუდოდ, საწირეში წარმოიქმნება ადეკვატური სატრეინინგო ინფრასტრუქტურა, რომელიც შეძლებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემის მაცხოვრებელთა უზრუნველყოფას საჭირო კვალიფიკაციით მათ მიერ ტურისტული მომსახურების გასაწევად.

შემდგომი მოქმედებების გეგმა

აქტივობა	ვადები	შენიშვნა
პერსპექტიული ტურისტული რესურსის იდენტიფიცირება	2017	
ტურისტულ ინფრასტრუქტურის მოწყობა	2018-20	
მარკეტინგის სტრატეგიის ჩამოყალიბება	2018	მარკეტინგული ღონისძიებები, პროდუქტის განვითარება, კომუნიკაცია და დისტრიბუცია
ტურიტული მომსახურების მიწოდება	2020	